ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5830705

ნომერი: AR1883948

თარიღი : 28.02.2022

გაცემის თარიღი : 04.03.2022

გაცნობის თარიღი : 16.03.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა რ. თაბუკაშვილი (ყოფ. ძნელაძე), N 27/1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბაკურ კიღურაძე პ/ნ 01024016049
- თბილისი რეზო თაბუკაშვილის 27

ნომენკლატურა :

- მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ექსტერიერისა და ინტერიერის სარესტავრაციო, სარემონტო და გაწმენდის სამუშაოები)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ბაკურ კიღურაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01024016049

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ბაკურ კიღურაძე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება, პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

იმისთვის, რომ სამსახურმა შეძლოს საკითხის სრულყოფილად განხილვა, საჭიროა წარმოდგენილი იქნას ძეგლის რეაბილიტაციის სრულყოფილი არქიტექტურული პროექტი: განმარტებით ბარათი, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი ჩასატარებელი სამუშაოები, გამოტანილი იქნება არსებული და საპროექტო ტექ. ეკონომიკური მაჩვენებლები; არსებული და საპროექტო ნახაზები (მითითებული იქნას საკადასტრო საზღვრები, ზომები, ნიშნულები, მასალები, ფართები, ჩასატარებელი სამუშაოები და ა.შ); საპროექტო ფართი, მისი ადგილმდებაეობის განსაზღვრის მიზნით, ასევე მოინიშნოს სართულებრივ სქემატურ გეგმაზე; სველი წერტილის მოწყობის შემთხვევაში ნახაზებზე ნაჩვენები იქნას დგარი და გაყვანილობის მასთან დაერთების სქემა.

ასევე დამატებით გაცნობებთ:

1. .კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი -> .ძეგლის არქიტექტურული პროექტის pdf ფაილი:
-პროექტი ხელმოწერილ უნდა იქნას შესაბამისი შემსრულებლის მიერ.
-წარმოდგენილ იქნას განმარტებითი ბარათი ჩასატარებელი სამუშაოების დეტალური აღწერით.
-წარმოდგენილ იქნას კარგად აღქმადი ნახაზები, როგორც არსებული ასევე საპროექტო და მასზე გაკეთებულ იქნას შესაბამისი შენიშვნები.
-გრაფიკში მოცემული სამუშაოები საჭიროა ასახულ იქნას ნახაზებში.
-ფოტოსურათების მიხედვით ხდება მხატვრობის აღდგენის სამუშაოები, წარმოდგენილ იქნას განმარტება აღნიშნულთან დაკავშირებით. თუ მხატვრობის აღდგენაც ხდება, საჭიროა წარმოდგენილ იქნას შესაბამისი დოკუმენტაცია, შესრულებული კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად.
2. .მშენებლობის ორგანიზების პროექტი კალენდარული გრაფიკით. -> .მშენებლობის ორგანიზების პროექტი კალენდარული გრაფიკით pdf ფაილი.:
გრაფიკში ამოღებულ იქნას კონკრეტული თარიღები.
.არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.:
-ფოტოსურათებზე დატანილ იქნას თარიღი.
-წარმოდგენილ იქნას როგორც ახლო, ასევე შორი ხედის ფოტოსურათები.
3. .ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედები. -> .ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედების pdf ფაილი (ზომების და ნიშნულების ჩვენებით). : წარმოდგენილ იქნას ფოტომონტაჟები ან რენდერი ჩასატარებელი სამუშაოების ასახვით.
4. დამკვეთის ველში დაფიქსირდეს შპს „უტას“ დირექტორი და მისი პირადი ნომერი. აგრეთვე, დამკვეთის ორგანიზაციის გრაფაში დაფიქსირდეს შპს „უტა“ და მისი საიდენტიფიკაციო კოდი. ამასთან, გენერალური სავაჭრო მინდობილობა (პროკურა), რომელიც გაცემულია ბაკურ კიღურაძეზე არ ითვალიწინებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას არქიტექტურის სამსახურში მშენებლობის ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, წარმოსადეგნია შპს „უტას“ დირექტორის მიერ განმცხადებელზე გაცემული მინდობილობა.
5. საჭიროა წარმოდგენილ იქნეს საჯარო რეესტრში ვალდებულების საფუძვლად რეგისტრირებული 30/01/2015 წლის №150088185 ხელშეკრულება და საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფოს თანხმობა.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.